ქალები საქართველოს დამფუძნებელ კრებაში (1919-1921) *

თამარ ორჯონიკიძე **

აბსტრაქტი

საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა, არსებობის მცირე პერიოდის მიუხედავად, ქვეყნის ისტორიაში უმნიშვნელოვანეს ადგილს იკავებს მრავალი მიზეზის გამო, მათ შორის პოლიტიკურ პროცესში ქალთა აქტიური ჩართულობა ერთ-ერთი უპირველესია. დემოკრატიულ რესპუბლიკაში 1919 წელს ჩატარებული პირველი საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული არჩევნების პირობებში დამფუძნებელი კრების დეპუტატის წოდება 130 ადამიანმა მოიპოვა. არჩევნები 1919 წლის თებერვალში ჩატარდა.[1] მასში მონაწილეობის მისაღებად ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ 15 საარჩევნო სუბიექტი დაარეგისტრირა. მათ საერთო ჯამში დეპუტატობის 600 კანდიდატი წარადგინეს, რომელთა შორის 26 ქალი იყო[2]. დამფუძნებელი კრების წევრის სტატუსს ჯამურად 145 ადამიანი ატარებდა[3] და მათ შორის 5 ქალი. სტატიაში შევეცდებით, წარმოგიდგინოთ მცირე ინფორმაცია თითოეულ მათგანზე. კრებულში „პირველი საყოველთაო

---

* კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო პროექტის „საქართველოს დამფუძნებელი კრება: ქართული პარლამენტარიზმის გამოცდილება“ ფარგლებში. გრანტის კოდი: FR – 18 – 20157

** ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერ-სიტეტის დოქტორანტი.

[1] იმ ტერიტორიაზე, სადაც თებერვალში ვერ მოხერხდა არჩევნების ჩატარება, დაინიშნა დამატებითი არჩევნები.

[2] *პირველი საყოველთაო დემოკრატიული არჩევნები დამოუკიდებელ საქართველოში* (2017). გვ.31

[3] დამფუძნებელი კრების შემადგენლობა სხვადასხვა მიზეზთა გამო რამდენჯერმე შეიცვალა.

დემოკრატიული არჩევნები დამოუკიდებელ საქართველოში“[4] მოცემულია საარჩევნო სიები, არჩევნების შედეგები და სხვა დოკუმენტური მასალა. დოკუმენტების კრებულში „საქართველოს დამფუძნებელი კრება - 1919“ მოცემულია დამფუძნებელი კრების წევრების მონაცემები, მათ შორის ქალ დეპუტატებზე ინფორმაცია. სწორედ ამ დოკუმენტებს დავეყრდნობით ნაშრომზე მუშაობისას.

საკვანძო სიტყვები: საქართველოს დამფუძნებელი კრება; ქალები დამფუძნებელ კრებაში

შესავალი

1919 წელს ჩატარებული არჩევნებით (ძირითადი და დამატებითი), საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი 5 ქალი გახდა იმ პირობებში, როდესაც სახელმწიფოთა უმრავლესობში არჩევნებში ხმის მიცემის უფლებაც კი არ ჰქონდათ ქალებს. საქართველოში არამხოლოდ აირჩეს დამფუძნებლი კრების დეპუტატებად ქალები, არამედ ისინი კრების კომისიების წევრები გახდნენ და აქტიურად იყვნენ ჩართულნი მათ მუშაობაში. ერთ-ერთი მათგანი დამფუძნებელი კრების მდივანი გახდა. არჩეული 5 დეპუტატი ქალი სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მიერ იყო წარდგენილი პროპორციული სიით.

არჩეული ქალი დეპუტატები

სოციალ-დემოკრატიული პარტიის გარდა ქალები საარჩევნო სიებში წარმოდგენილი ჰყავდა კიდევ 5 პარტიას, თუმცა მხოლოდ ერთი პარტიის წარმომადგენლებმა მოიპოვეს დეპუტატთა მანდატი. სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მიერ წარმოდგენილ 130 კანდიდატიან სიაში 6 ქალს ვხვდებით, მათგან 4 ძირითადი არჩევნების შედეგად მოხვდა დამფუძნებელ კრებაში(თებერვალი, 1919); მეხუთე კი დამატებითი არჩევნების შედეგად გახდა დეპუ-

[4] *პირველი საყოველთაო დემოკრატიული არჩევნები დამოუკიდებელ საქართველოში.* თბილისი. 2017 http://cesko.ge/res/docs/Brochure-1919.pdf

ტატი. დამფუძნებელი კრების წევრები იყვნენ: #36 ელეონორა ტერ-ფარსეგოვა-მახვილაძე; #61 მინადორა ტოროშელიძე; #72 ქრისტინე შარაშიძე; #79 ელისაბედ ბოლქვაძე; #110 ანა სოლოღაშვილი.

ქალი კანდიდატები შემდეგი პარტიული სიით იყვნენ წარ-მოდგენილნი[5]:

პარტიის სახელწოდება	**ქალ კანდიდ ატთა რაოდენ ობა**	**კანდიდ ატთა ჯამური რაოდენ ობა**	**ქალები პარტიულ სიაში**	**არჩეული დეპუტატ ები**
#1 საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია	6	130	#36; #61; #72; #79; #110; #126	5
#3 საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია	5	73	#31; #49; #51; #54; #68	
#4 სომეხთა რევოლუციონური პარტია „დაშნაკციუთუნი“	2	19	#11; #19	
#5 საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა	9	120	#26; #37; #41; #43; #46; #56;	

[5] *პირველი საყოველთაო დემოკრატიული არჩევნები დამოუკიდებელ საქართველოში* (2017). გვ.31

სარევოლუციო პარტია			#65; #78; #107	
#7 საქართველოს რადიკალდემოკრატიულ გლეხთა პარტია	1	50	#24	
#9 საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა მაშვრალთა პარტია	3	38	#20; #28; #34	

ელეონორა ტერ-ფარსეგოვა-მახვილაძე (1875-?)[6]

სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის საარჩევნო სიის #36, ელეონორა ტერ-ფარსეგოვა-მახვილაძისა 1902 წლიდან იყო რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წევრი. 1905 წლიდან ცხოვრობდა და ასწავლიდა სოხუმში და საკმაოდ აქტიურად იყო ჩაბმული რევოლუციურ საქმიანობაში. 1917 წლამდე რამდენჯერმე დააპატიმრეს. 1919 წელს კი საქართველოს დამფუძნებელი კრების დეპუტატად აირჩიეს და გახდა შრომის, საპენსიო და სახალხო ჯანმრთელობის კომისიების წევრი. 1919 წლიდანვე არჩეული იყო თბილისის საპატიო მომრიგებელ მოსამართლედ და თბილისის ქალაქის საბჭოს ხმოსნად. ხელმძღანელობდა მკერავთა პროფკავშირებს.

1921 წელს საქართველოს ოკუპაციის შემდგომ არ დაუტოვებია ქვეყანა და აქტიურად იყო ჩართული საბჭოთა საწინააღმდეგო მოძრაობაში. შედიოდა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ქალთა კომიტეტში, რომელიც არალეგალურად მუშაობდა პოლიტიკური პატიმრებისა და მათი ოჯახების

[6] http://firstrepublic.ge/ka/biography/182

დასახმარებლად. 1922 წლის თებერვალში საქართველოს ოკუპაციის წლისთავის აღნიშვნისას ანტისაბჭოთა დემონსტრაციების აღსაკვეთად საქართველოს საგანგებო კომისიამ ანტისაბჭოთა ლიდერების დაპატიმრება დაიწყო. დააპატიმრეს ელეონორაც და 3 თვით იზოლაციის წესით პატიმრობა მიუსაჯეს. 1925 წელს აირჩიეს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის არალეგალური ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში, თავჯდომარის დაპატიმრების შემდგომ კი თავად ხელმძღვანელობდა აღნიშნულ კომიტეტს. პარტიული მეტსახელი ჰქონდა - ლუბა. 1926 წელს ელეონორა გაასახლეს ამიერკავკასიის ფარგლებიდან. გადასახლებიდან დაბრუნების შემდგომ 1930-იან წლებში კერძო პედაგოგიურ საქმიანობას დაუბრუნდა. გარდაიცვალა 1930-იან წლებში. ზუსტი თარიღი უცნობია.

მინადორა ორჯონიკიძე-ტოროშელიძე (1879–1967)[7]

სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის საარჩევნო სიის #61 მინადორა ტოროშელიძე 1901 წლიდან ჟენევის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე სწავლობდა და აქტიურად მუშაობდა ჟენევის სოციალისტურ წრეებში, „ისკრის“ დამხმარე ჯგუფში. გიორგი პლეხანოვის ხელმძღანელობით ეუფლებოდა მარქსიზმის თეორიას. 1905 წელს თბილისში დაბრუნებული მინადორა ჩაება რევოლუციურ საქმიანობაში. იყო აქტიური მენშევიკი, განსხვავებით ბოლშევიკი მეუღლის - მალაქია ტოროშელიძისაგან. 1917 წლიდან ხელმძღანელობდა თბილისის ქალთა სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციას. მინადორა ტოროშელიძე ეროვნული საბჭოს წევრი და ერთ-ერთი ხელმომწერი იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აქტზე 1918 წლის 26 მაისს.

1919 წელს აირჩეს საქართველოს დამფუძნებელი კრების დეპუტატად და გახდა შრომის კომისიის მდივანი და სახალხო ჯანმრთელობის კომისიის თავმჯდომარის ამხანაგი.

[7] http://firstrepublic.ge/ka/biography/183

დამფუძნებელ კრებაში მუშაობის პარალელურად, მინადორა ტოროშელიძე თავმჯდომარეობდა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ქალთა ორგანიზაციას, რომელიც ქალთა პოლიტიკურ კლუბს და დედათა და ბავშვთა დამცველ საზოგადოებას ზედამხედველობდა.

1921 წელს საქართველოს ოკუპაციის შემდგომ არ დაუტოვებია ქვეყანა და აქტიურად იყო ჩართული საბჭოთა საწინააღმდეგო მოძრაობაში. ხელმძღვანელობდა „საქართელოს პოლიტიკურ წითელ ჯვარს“ - ბოლშევიკურ რეჟიმთან მებრძოლი პსრტიების ერთიან ორგანიზაციას. 1924 წელს მინადორა ტოროშელიძე მოსკოვში გაასახლეს. 1925 წელს სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში მუშაობაზე უარის თქმის შემდეგ, ნება მისცეს, დაბრუნებულიყო საქართველოში.

1936 წლის ოქტომბერში დაპატიმრეს მინადორას მეუღლე - მალაქია, შვილი - გიორგი და თავად მინადორა ტოროშელიძე. ანტისაბჭოთა საუბრებში ბრალდებული მინადორა, რომელმაც ბრალდება არ აღიარა, 5 წლით ყაზახეთში გადაასახლეს. 1937 წელს კი დააპატიმრეს და 8 წლით შრომა-გასწორების კოლონიაში პატიმრობა მიუსაჯეს. 1937-1938 წლებში დახვრიტეს მინადორა ტოროშელიძის მეუღლე და ორივე შვილი.

გადასახლებული მინადორა მუშაობდა საავადმყოფოში. მიუხედავად იმისა რომ მინადორა ტოროშელიძის სასჯელის ვადა 1945 წელს სრულდებოდა, მას არ მისცეს სამშობლოში დაბრუნების უფლება, გადასახლების ვადა გაუგრძელეს და დაბრუნება მხოლოდ 1950 წელს შეძლო.

მინადორა ორჯონიკიძე-ტოროშელიძე რეაბილიტირებული იქნა 1956 წელს. გარდაიცვალა 1967 წელს.

ქრისტინე შარაშიძე (1887-1973)[8]

1905 წლიდან სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი ქრისტინე შარაშიძე 1917 წელს იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი და თბილისის უნივერსიტეტის დამფუძნებელი საზოგადოების წევრი. 1919 წელს საქართველოს დამაფუძნებელი კრების წევრად აირჩეს და გახდა პრეზიდიუმის წევრი(მდივანი) და შედიოდა სამი კომისიის შემადგენლობაში.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ქრისტინე შარაშიძე რამდენჯერმე დააპატიმრეს. 1931 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი. იყო მნიშვნელოვანი შრომების ავტორი სამხრეთ საქართველოს შესახებ. მუშაობდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებასა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში. ქრისტინე შარაშიძე გარდაიცვალა 1973 წელს.

ანა სოლოღაშვილი (1882-1937)[9]

1903 წლიდან სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი ანა სოლოღაშვილი მონაწილეობდა საქართველოს ეროვნული საბჭოს მუშაობაში. 1919 წელს კი დამფუძნებელი კრების დეპუტატად აირჩეს და რამდენიმე კომისიის წევრი გახდა. საქართველოს ოკუპაციის შემდგომ ჩართული იყო ანტისაბჭოთა არალეგალურ საქმიანობაში. ცხოვრობდა და ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას სამხრეთ ოსეთი ავტონომიურ ოლქში. 1937 წელს დააპატიმრეს და მიუსაჯეს დახვრეტა ანტისაბჭოთა და ანტისაკოლმეურნეო პროპაგანდისა და შოვინისტური განწყობების, ასევე ისიდორე რამიშვილთან კავშირის ბრალდებით.

[8] http://firstrepublic.ge/ka/biography/197

[9] http://firstrepublic.ge/ka/biography/176

ელისაბედ ბოლქვაძე (1885-1937)[10]

1904 წლიდან სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წევრი ელისაბედ ბოლქვაძე, აქტიურად მონაწილეობდა პარტიულ მუშაობაში გურიაში. რასაც ამიერკავკასიიდან მისი გაძევება მოჰყვა. მან სამშობლოში დაბრუნება მხოლოდ 1917 წელს, რევოლუციის შემდგომ მოახერხა. 1919 წელს საქართელოს დამფუძნებელი კრების წევრად აირჩიეს ჩართული იყო რამდენიმე კომისიის მუშაობაში.

საქართველოს ოკუპაციის შემდგომ დარჩა ქვეყანაში და აქ-ტიურად იყო ჩაბმული წინააღმდეგობის მოძრაობაში. 1923 წელს ბოლქვაძე დააპატიმრეს და ურალის მხარეში გადაასახლეს. იქიდან დაბრუნება 1925 წელს შეძლო და მუშაობდა შინავაჭრობის სახალხო კომისარიატში.

ჩაბმული იყო სოციალ-დემოკრატიული პარტიის არალეგა-ლური ცენტრალური კომიტეტის საქმიანობაში. 1926 წელს კვლავ დააპატიმრეს და 3 წლით კრასნოიარსკში გააგზავნეს. მალევე პა-ტიმრობა გადასახლებით შეუცვალეს.

1936 წელს ბოლქვაძე კვლავ დააპატიმრეს კონტრევო-ლუციური ორგანიზაციის ხელმძღანელობის ბრალდებით და მიუსაჯეს დახვრეტა. დახვრიტეს 1937 წლის თებერვალში.

დასკვნა

დამფუძნებელი კრების წევრი ქალები საკმაოდ აქტიურად იყვნენ ჩაბმულნი კრების და მისი კომისიების მუშაობაში. ოკუპა-ციის შემდგომ, მათი როლი ანტისაბჭოთა მოქმედებებში საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო. საბჭოთა რეჟიმმა რეპრესიული ზომები არა მხოლოდ მათი ოჯახის წევრების მიმართ გამოიყენა, არამედ თვი-თონ ისინიც იყვნენ მსხვერპლნი საბჭოთა რეპრესიული ბუნების

[10] http://firstrepublic.ge/ka/biography/98

ყოველგვარი გამოვლინებისა და საბოლოოდ 2 მათგანი დახვრიტეს 1937 წელს.

გამოყენებული ლიტერატურა

- *პირველი საყოველთაო დემოკრატიული არჩევნები დამოუკიდებელ საქართველოში* (2017). https://cesko.ge/res/docs/Brochure-1919.pdf
- ელისაბედ ბოლქვაძე. http://firstrepublic.ge/ka/biography/98
- ანა სოლოღაშვილი http://firstrepublic.ge/ka/biography/176
- ქრისტინე შარაშიძე http://firstrepublic.ge/ka/biography/197
- მინადორა ორჯონიკიძე-ტოროშელიძე http://firstrepublic.ge/ka/biography/183
- ელეონორა ტერ-ფარსეგოვა-მახვილაძე http://firstrepublic.ge/ka/biography/182

Tamar Orjonikidze

Women in the Constituent Assembly of Georgia (1919-1921)

Abstract

Despite its short history, the First Democratic Republic of Georgia occupies one of the most important place in the country's history for many reasons, among them, the active involvement of women in the political process is one of the first. 130 persons won the title of Member of the Constituent Assembly in the Democratic Republic in 1919 under the conditions of the first universal, equal, direct and secret elections. Elections were held in February 1919. The Central Election Commission registered 15 election subjects to participate in it. In total they nominated 600 MP candidates, among them 26 were women. In total 145 persons held the status of members of the Constituent Assembly, among them

were 5 women. In this article, we will try to present a little information about each of them.

Voter lists, election results and other documentary materials are given in the collection "The First Universal Democratic Elections in Independent Georgia". The collection of documents "Founding Assembly of Georgia -1919" contains the data of the members of the Constituent Assembly, including information on women MPs. It is these and other documents that we will rely on when working on the paper.

Keywords: Constituent Assembly of Georgia; Women in the Constituent Assembly